

ტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოს ეროვნულ პარკებში: ანალიზი და შეფასება

ნინო ჭანკოტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*



სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა(მიმართულება:
ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნუგზარ ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
1. შესავალი.....	3
2. ეროვნული პარკი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით	4
3. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მოკლე მიმოხილვა: ეროვნული პარკები	6
4. ტურიზმის არსებული პრაქტიკა და სიტუაცია საქართველოს ეროვნულ პარკებში.....	6
4.1 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	7
4.2 კოლხეთის ეროვნული პარკი	12
4.3 თუშეთის ეროვნული პარკი.....	15
4.4 ალგეთის ეროვნული პარკი	18
4.5 თბილისის ეროვნული პარკი	20
4.6 მტირალას ეროვნული პარკი	22
4.7 ვაშლოვანის ეროვნული პარკი	24
4.8 ყაზბეგის ეროვნული პარკი	27
4.9 ჯავახეთის დაცული ტერიტორიები	29
5. ვიზიტორთა ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა (შემაჯამებელი ცხრილები)	30
6. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიტორიებზე წლების მიხედვით.....	32
7. საქართველოში არსებული წარმატებული პარკების შედარება უცხოეთის პარკებთან.....	33
7.1 მაიელას ეროვნული პარკი.....	34
7.2 აბრეცოს ეროვნული პარკი.....	349
8. დასკვნები და რეკომენდაციები	42
გამოყენებული ლიტერატურა.....	45

აბსტრაქტი

ამ ნაშრომში განხილულია ტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოს ეროვნულ პარკებში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა ინფორმაცია ტურიზმის არსებულ პრაქტიკასა და სიტუაციაზე საქართველოს ეროვნულ პარკებში.

ჩვენი მიზანი იყო, გაგვეგო არსებობს თუ არა ვიზიტორთა პროგრამები, შესაბამისი სერვისები, კვალიფიციური და საკმარისი კადრები. უტარდება თუ არა მათ საკვალიფიკაციო ტრენინგები და მისთ. მოვიძიეთ ინფორმაცია პარკში არსებულ პრობლემებზე; არსებობს თუ არა საკმარისი და შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა, დანერგილია თუ არა ტურისტული პროდუქტები და რამდენად აქვთ კავშირი პარკებს ტურ-ოპერატორებთან.

იგივე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, განვიხილეთ იტალიის წარმატებული ეროვნული პარკების მაიელას და აბრუცოს მაგალითი. მათი ბუნებრივი მახასიათებლები ემთხვევა საქართველოს ეროვნული პარკების მონაცემებს. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვედარებინა ჩვენში არსებული ტურისტული პროგრამები საზღვარგარეთულ ანალოგებთან.

აღმოჩნდა, რომ ჩვენში არსებული ტურისტული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ხარისხი საერთაშორისო ვიზიტორების მოლოდინზე და ევროპის სხვა ქვეყნების ეროვნულ პარკებში არსებულ მომსახურების დონეზე უფრო დაბალია. თუმცა, არსებობს ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი. შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.